

10.03.2020

კონკურსის განმცხადებელი: განათლების კოალიცია

კონკურსი „მასწავლებლის 10 წუთი“

განათლების კოალიცია აცხადებს კონკურსს „მასწავლებლის 10 წუთი“ მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა კლუბის წევრებისთვის. **კონკურსის მიზანია** ფართო აუდიტორიისათვის საკუთარი გამოცდილების, შეხედულებებისა და იდეების გაზიარება და, ამ გზით, პროფესიის პოპულარიზაცია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს იდეა, რომელიც უნდა იყოს შემოქმედებითი და ფართო აუდიტორიისთვის საინტერესო.

იდეა უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- თემის სახელწოდება
- მთავარი გზავნილი
- თემის დეტალური აღწერა

თემის სახელწოდება	მთავარი გზავნილი	თემის დეტალური აღწერა

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა კლუბის წევრებს.

კონკურსი ხორციელდება გუდავამე-პატარკაციშვილის ფონდის მხარდაჭერით.

კონკურსის ფარგლებში გამოვლინდება 5 გამარჯვებული იდეა.

პროექტის ფარგლებში გამარჯვებული ხუთი მონაწილესთვის მოეწყობა საჯარო გამოსვლა და ვიდეო გადაღება (TED talk-ის ფორმატი), რომელიც გავრცელდება სხვადასხვა წყაროებით.

განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2020 წლის 24 მარტი.

შერჩევის პროცესი

ობიექტური შერჩევის პროცესის უზრუნველსაყოფად პროექტებს განიხილავს დამოუკიდებელი პირებისგან შექმნილი საბჭო. საბჭო შედგება 5 წევრისგან. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს წევრთა შორის კონსენსუსის მიღწევის გზით.

შერჩევის კრიტერიუმები

- განაცხადთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- თემის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან.

განაცხადი უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ ელ. ფოსტაზე: efageorgia@gmail.com

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 591819797 თამარ გურგენიძე.

2018 წელს ჯილდოს ფინალისტების ინიციატივითა და განათლების კოალიციის მხარდაჭერით მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა კლუბი შეიქმნა. ათეულთა კლუბის მიზანია ხელი შეუწყოს პროგრესული პედაგოგიური პრაქტიკის გავრცელებას. კლუბი მუშაობს როგორც შიდა ქსელის გაძლიერების, ასევე მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის, კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებისა და სასკოლო საზოგადოების გაძლიერების მიმართულებით.